საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-20-7/94
13/02/2020

94-გ-20-1-4-202002131654

სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთვის“ სანაპირო საბაზო სადგურებისთვის ამოცნობის ნიშნების მინიჭების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ“ კომისიას მიმართა განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-20-7/287, 06.09.19) AIS-ის (ავტომატური იდენტიფიკაციის სისტემა) გამოყენებით ზღვაზე ძებნა-გადარჩენის გემების მონიტორინგის განსახორციელებლად ქ. ბათუმში, ქ. ფოთსა და ხობის რაიონის-სოფელი ყულევის ტერიტორიაზე სანაპირო საბაზისო სადგურებისთვის ამოცნობის ნიშნების მინიჭების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის 2020 წლის 23 იანვრის №20-10-160 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, საქართველოს საზღვაო ზონაში შესაძლებელია მიენიჭოს AIS-ის (ავტომატური იდენტიფიკაციის სისტემა) ამოცნობის ნიშნები (MMSI) სამსახურებრივ ბარათში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47' მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. მიენიჭოს სანაპირო საბაზისო სადგურებს ცხრილში აღნიშნული ამოცნობის ნიშნები (MMSI):

№	სადგურის დასახელება	განთავსების ადგილი	მინიჭებული MMSI
1.	სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ (ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა გემების მონიტორინგის დეპარტამენტი)	ქ. ბათუმი, მწვანე კონცხი, თბილისის გზატკეცილი მე-5 ჩიხი №2, შპს „საქტელერადიო ცენტრის“ შენობა	00 213 0100
2.	სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ (ბათუმის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხდველობისა და კონტროლის სამსახური)	ქ. ბათუმი, ბაქოს ქ. №15, შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ ადმინისტრაციული შენობა	00 213 0200
3.	სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ (ფოთის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხდველობისა და კონტროლის სამსახური)	ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №52, ეი-პი-ემ ტერმინალს ფოთი „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ სადისპეტჩერო შენობა	00 213 0300
4.	სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“	ხობის რ-ნი, სოფ. ყულევი, შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ პორტ-ოფისის შენობა	00 213 0400

	(ყულევის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხდველობისა და კონტროლის სამსახური)		
5.	სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ (ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა გემების მონიტორინგის დეპარტამენტი)	ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი ანაკლია, სასტუმრო „ოქროს საწმისის“ შენობა	00 213 0500

2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთვის“ ჩაბარებისთანავე;
3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთვის“ გაგზავნა (ნ. ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნება (ნ. შოვნაძე);
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთვის“ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ელისო ასანიძე

წევრი

მერაბ ქათამაძე

წევრი